,,დასახლებული პუნქტი“ არის:

**1.** ნებისმიერი ტერიტორიამ რომელზეც დასახლებულია ხალხი.

**2.** ნებისმიერი გზა, რომელიც განკუთვნილია ქვეითთა ინტენსიური მოძრაობისათვის.

**3.** განაშენიანებული ტერიტორია, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი აღნიშნულია შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

1

,,საცხოვრებელი ზონა“ არის:

**1.** ნებისმიერი ტერიტორია, რომელზეც დასახლებულია ხალხი.

**2.** გაშენიანებული ტერიტორია, სადაც მოქმედებს სპეციალური საგზაო მოძრაობის წესები და სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი აღნიშნულია შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

**3.** ნებისმიერი გზა რომელიც განკუთვნილია ქვეითთა ინტენსიური მოძრაობისათვის.

2

,,მიმდებარე ტერიტორია“ არის:

1. ტერიტორია, რომელიც უშუალოდ გზას ეკვრის და არ არის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამჭოლი მოძრაობისათვის (ეზო, საცხოვრებელი მასივი, ავტოსადგომი, ბენზინგასამართი სადგური, დაწესებულება და სხვა).

**2.** გზის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ურელსო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის (გარდა ტროტუარისა გვერდულისა, ველობილიკისა და ქვეითთა ბილიკისა).

**3.** ერთ დონეზე გზების კვეთა, შეერთება ან განშტოება, ასეთი კვეთით, შეერთებით ან განშტოებით წარმოქმნილი ტერიტორიების ჩათვლით.

3



რამდენი სავალი ნაწილი აქვს მოცემულ გზას?

**1.** ერთი. **2.** ორი. **3.** სამი. **4.** ოთხი.

4



რამდენი სავალი ნაწილი აქვს მოცემულ გზას?

**1.**ერთი **2.**ორი **3.**ოთხი

5

გარდა სავალი ნაწილისა, ქვემოთ ჩამოთვლილი რომელ ელემენტს შეიძლება მოიცავდეს გზა?

**1.** მხოლოდ ტრამვაის ლიანდაგს და ტროტუარს.

**2.** მხოლოდ გვერდულას და გამყოფ ზოლს.

**3.** მხოლოდ ველობილიკს.

**4.** როგორც ტრამვას ლიანდაგს, ასევე ტროტუარს, გვერდულას, გამყოფ ზოლსა და ველობილიკს.

6